დანართი 1 - ტექნიკური დავალება
*Please scroll down for English version*

## შერჩეულ 10 მუნიციპალიტეტში ექსკლუზიური უფლებამოსილების - საბავშვო ბაღების მართვისა და განვითარების რეფორმის - ხელშეწყობა

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამა „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ (GGLD) იწვევს დაინტერესებულ ორგანიზაციებს საკონსულტაციო მომსახურების შესახებ განაცხადების მისაღებად:

### 1. პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის სახელწოდება: კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისათვის სამხრეთ კავკასიაში (GGLD).

- ➔ GGLD ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) მიერ გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითრების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაკვეთით.

მიზანი: საჯარო დაწესებულებები მიერ მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურების მიწოდება მდგრადობის, ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებითა და დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და გამჭვირვალობის პრინციპების შესახებად აუმჯობესებს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მოქალაქეების ცხოვრების პირობებს.
ძირითადი მოქმედების არეალები:

ა) სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩო-პირობების გაუმჯობესება საჯარო დაწესებულებების მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურებებისათვის.

ბ) მთავარი აქტიორების შესაძლებლობების გაძლიერება მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურებებისა და მათი დაფინანსებისათვის.

გ)მექანიზმების გაძლიერება მომსახურებების მიწოდებაში მოქალაქეთა ჩართულობისათვის.

დ) რეგიონული განვითარების მიდგომების, ინსტიტუციებისა და ინსტრუმენტების გაძლიერება.

ე) ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარება

პროგრამის ხანგრძლივობა: 01/04/2020 – 31/03/2023

### 2. ზოგადი ინფორმაცია

GIZ-ის პროგრამის „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისათვის სამხრეთ კავკასიაში“ მიზანია ხელი შეუწყოს საჯარო ინსტიტუციებს მოქალაქეებზე ორიენტირებული, სამართლიანი და ხარისხიანი მომსახურების მიწოდებაში. აღნიშნულის მისაღწევად GIZ კონსულტაციებს უწევს მუნიციპალიტეტებს, რომ მათ შეძლონ საჭიროებებზე ორიენტირებული უფლებამოსილებების განხორციელება, რაც გულისხმობს შერჩეული კომპეტენციის ფარგლებში ფუნქციების, სტრუქტურების,

მენეჯმენტის პროცესების გაუმჯობესებას და ელექტრონული სისტემების დანერგვას. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე GIZ-ის „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისათვის სამხრეთ კავკასიაში" პროგრამის ფარგლებში სამოქმედო არეალად შერჩეულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ექსკლუზიური უფლებამოსილება - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, საბავშვო ბაღები.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდის სფეროში მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს კომპლექსური რეფორმა, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს 2017 წლის 30 ოქტომბერს მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილება N 488, რომელიც განსაზღვავს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტს. ამ სტანდარტმა მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესოს, როგორც მომსახურების ხარისხი, ასევე ხელი შეუწყოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სწავლის ხარისხის ამაღლებას.დოკუმენტში მითითებულია სხვა მთელი რიგი სტანდარტები, რასაც უნდა აკმაყოფილებდნენ საბავშვო ბაღები, რათა მათ შეძლონ ავტორიზაციის გავლა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ხარისხიანი და საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურების მიწოდება.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სერვისის გასაუმჯობესებლად საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა, შეიცვალა საკანონმდებლო აქტები, გაიზარდა ბიუჯეტები, შეიცვალა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების განმახორციელებელი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მართვის პრინციპები, სამართლებრივი ფორმა და სხვა, თუმცა ავტორიზაციის მოპოვების პროცესში არსებობს საკითხები, რომლებიც დაუყოვნებლივ მოგვარების საგანს წარმოადგენს, როგორებიცაა საბავშვო ბაღების ხარისხიანი მართვის განსახორციელებლად ფუნქციების, სტრუქტურების, მართვის პროცესების გასაუმჯობესებლად მუნიციპალიტეტებისათვის კონსულტაციების გაწევა და აღსაზრდელთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემების დანერგვა.

GIZ მზადაა სკოლამდელი განათლების მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად 10 შერჩეულ მუნიციპალიტეტებში განახორციელოს პროექტი, რომლის მიზანიც იქნება აღნიშნული უფლებამოსილების - საბავშვო ბაღების - ფარგლებში არსებული ფუნქციების, სტრუქტურების, მენეჯმენტის პროცესების საჭიროებებზე მორგება და აღსაზრდელთა რეგისტრაციისათვის ელექტრონული სისტემების დანერგვაში ხელშეწყობა.

## 3. საკონსულტაციო მომსახურების მიზანი

საკონსულტაციო მომსახურების მიღების მიზანია:

- შერჩეულ 10 მუნიციპალიტეტებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების/საბავშვო ბაგა-ბაღების მართვისა და მენეჯმენტის განმახორციელებელი სამსახურებისათვის თანამედროვე და საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისი სტრუქტურის მოდელების შექმნა
- საშტატო ერთეულებისათვის საჭიროებებზე მორგებული ფუნქცია - მოვალეობების გაწერა და შესაბამისი სამუშაო აღწერილობების მომზადება.
- აღსაზრდელთა ელექტრონული რეგისტრაციისათვის მოდულის და შესაბამისი გზამკვლევის მომზადება (ადგილობრივ დონეზე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების/საბავშვო ბაგა-ბაღების მართვისა და მანეჯმენტის განმახორციელებელი სააგენტოების/გაერთიანებებისათვის)
- 10 შერჩეულ მუნიციპალიტეტში მისი პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა.

სამუშაოები უნდა განხორციელდეს შემდეგ 10 მუნიციპალიტეტში:

1. თელავის მუნიციპალიტეტი
2. მცხეთის მუნიციპალიტეტი
3. გორის მუნიციპალიტეტი
4. ახალციხის მუნიციპალიტეტი
5. ბორჯომის მუნიციპალიტეტი
6. ქუთაისის მუნიციპალიტეტი
7. ფოთის მუნიციპალიტეტი
8. სენაკის მუნიციპალიტეტი
9. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი
10. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

## 4. .სამუშაოს მიმღების შესასრულებელი ამოცანები

სამუშაოს მიმღებმა უნდა უზრუნველყოს შერჩეული მუნიციპალიტეტების მაგალითზე ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილების - საბავშვო ბაღების მართვის - ფარგლებში არსებული ფუნქციების, სტრუქტურების, მენეჯმენტის პროცესების საჭიროებებზე მორგება და აღსაზრდელთა ელექტრონული რეგისტრაციის სისტემების დანერგვა- რაც გულისხმობს შემდეგი კონკრეტული ამოცანების შესრულებას:

1. ყველა იმ მოქმედი სამართლებრივი აქტებისა და პოლიტიკის დოკუმენტების შესწავლა, რომლებიც მნიშვნელოვანია საბავშვო ბაღების მომსახურების მიწოდებისათვის, მათ შორის საკანონმდებლო რეგულაციები ცენტრალურ დონეზე და განსახორციელებელი ვალდებულებები. ასევე მნიშვნელოვანია:
    - მუნიციპალიტეტების დონეზე სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების არსებული მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების, ფუნქცია - მოვალეობების, ს სამუშაო აღწერილობების, მართვის პროცესების შესწავლა და ანალიზი
    - ადგილობრივ დონეზე აღსაზრდელთა რეგისტრაციის საფუძვლად არსებული ძირითადი სამართლებრივი აქტებისა და არსებული პრაქტიკის შესწავლა (მათ შორის განსაკუთრებული საჭიროების მქონდე (გსმ) და სპეციალური საჭიროების მქონე (სსმ) აღსაზრდელთა რეგისტრაციის საკითხები - შესაბამისი გამონაკლისები და შეღავათები)
2. შესწავლილი დოკუმენტების ანალიზის შედეგად საბავშვო ბაღების მენეჯმენტის საკითხებზე ხარვეზების დადგენა და აღნიშნულის შესაბამისად პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების იდენტიფიცირება, რაც ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.
3. საბავშვო ბაღების მენეჯმენტის ახალი მოდელის შესამუშავებლად მეთოდოლოგიის მომზადება, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

*სტრუქტურები, ფუნქცია-მოვალეობების , სამუშაო აღწერილობები და მართვის პროცესები (სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების განმახორციელებელი*

სამსახურების/სააგენტოებისათვის სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტების მომზადება):

- ❖ *მენეჯმენტის მოდელის რამდენიმე ვარიანტი (მათთვის მისაღები ფორმის შესარჩევად),*
- ❖ *გაწერილი ფუნქცია-მოვალეობები,*
- ❖ *სამუშაო აღწერილობები,*

*ელექტრონული რეგისტრაცია*

- ❖ აღსაზრდელთა რეგისტრაციისათვის ელექტრონული მოდულის მომზადება, საჭირო ყველა კომპონენტის გაწერა და შესაბამისი გზამკვლევის შემუშავება
- ❖ ყველა საჭირო სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება, რაც საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესებს შეეხება
- ❖ შერჩეულ მუნიციპალიტეტებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ბაგა-ბაღებისა და რეგისტრირებულ აღსაზრდელთა რაოდენობები, საჭირო სტატისტიკური მონაცემების მოპოვება

4. საბავშვო ბაღების მენეჯმენტის ახალი მოდელის შესახებ მომზადებული მეთოდოლოგიის გაცნობა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის და მათი შენიშვნების დოკუმენტში ასახვა
5. საბავშვო ბაღების მენეჯმენტის ახალი მოდელის შესახებ მომზადებული მეთოდოლოგიის გაცნობა შერჩეული მუნიციპალიტეტების გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის და მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება.
6. შერჩეულ 10 მუნიციპალიტეტში მომზადებული მეთოდოლოგიის დანერგვის ხელშეწყობა
7. საბოლოო ანგარიშის მომზადება , რომელიც უნდა მოიცავდეს მე-5 პუნქტში ჩამოთვლილ საკითხებს და ასევე:
    - მიღებულ გამოცდილებას,
    - კარგ მაგალითებს
    - მიგნებებსა და
    - შემუშავებული მეთოდოლოგიის წარმატებით გავრცელების მიზნით რეკომენდაციების მომზადება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება განხორციელების მეთოდები და მიდგომები სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით.

სამუშაოს მიმღებმა საკონსულტაციო მომსახურების განხორციელების დროს უნდა უზრუნველყოს მჭიდრო თანამშრომლობა ცენტრალურ უწყებებთან და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან, აგრეთვე სააგენტოების/გაერთიანებების თანამშრომლებთან და ხელმძღვანელებთან.

**5. სამუშაო შესრულების სავარაუდო პერიოდი და ანგარიშგება:**

სამუშაოს დაწყება: 15.04.2021

სამუშაოს დასრულება 30.10.2021

შუალედური გადახდა სავარაუდოდ 01.06.2021-მდე მოხდება შუალედური ანგარიშის წარმოდგენის საფუძველზე

შუალედური ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

1. ყველა იმ მოქმედი სამართლებრივი აქტებისა და პოლიტიკის დოკუმენტების შესწავლა, რომლებიც მნიშვნელოვანია საბავშვო ბაღების მომსახურების მიწოდებისათვის. მათ შორის
   - მუნიციპალიტეტების დონეზე სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების არსებული მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების, ფუნქცია - მოვალეობების, ს სამუშაო აღწერილობების, მართვის პროცესების შესწავლა და ანალიზი
   - ადგილობრივ დონეზე აღსაზრდელთა რეგისტრაციის საფუძვლად არსებული ძირითადი სამართლებრივი აქტებისა და არსებული პრაქტიკის შესწავლა (მათ შორის განსაკუთრებული საჭიროების მქონე (გსმ) და სპეციალური საჭიროების მქონე (სსმ) აღსაზრდელთა რეგისტრაციის საკითხები - შესაბამისი გამონაკლისები და შეღავათები)
2. პირველი პუნქტის შესაბამისად, შესწავლილი დოკუმენტების ანალიზის შედეგების შეჯამება საბავშვო ბაღების მენეჯმენტის საკითხებზე ხარვეზებისა და აღნიშნულის შესაბამისად პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.
3. საბავშვო ბაღების მენეჯმენტის ახალი მოდელის შესამუშავებლად მეთოდოლოგიის პირველადი ვერსიის მომზადება (თუ რა შინაარსობრივი ნაწილებისგან უნდა შედგებოდეს მეთოდოლოგია იხ. სამუშაო აღწერილობის მე-4 პუნქტი)

საბოლოო გადახდა განხორციელდება არაუგვიანეს 30.10.2021-ისთვის საბოლოო ანგარიშის წარმოდგენის საფუძველზე. საბოლოო ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

1. მომზადებული მეთოდოლოგიის გადამუშავება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პრეზენტაციის შედეგების შესაბამისად. მათი შენიშვნების დოკუმენტში ასახვა
2. მომზადებული მეთოდოლოგიის გადამუშავება შერჩეული მუნიციპალიტეტების გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან გამართული შეხვედრების შემდეგ. მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება.
3. საბავშვო ბაღების მენეჯმენტის ახალი მოდელის შესახებ მეთოდოლოგიის საბოლოო ვერსიის მომზადება.
4. ანგარიშგება, თუ როგორ განხორციელდა მეთოდოლოგიის დანერგვა შერჩეულ 10 მუნიციპალიტეტში.
5. საბოლოო ანგარიში ასევე უნდა მოიცავდეს :
   - მიღებულ გამოცდილებას,
   - კარგ მაგალითებს
   - მიგნებებსა და
   - შემუშავებული მეთოდოლოგიის წარმატებით გავრცელების მიზნით რეკომენდაციების მომზადება, რომელშიც გათვალისწინებული

იქნება განხორციელების მეთოდები და მიდგომები სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით.

შესრულებული სამუშაოს ანგარიშგება უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე. შეფასების ძირითადი შემაჯამებელი ნაწილის წარმოდგენა უნდა მოხდეს ასევე ინგლისურ ენაზე.

**6. სხვა საკითხები**

- ყველა ზემოაღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით სამუშაოს მიმღები რეგულარულად მიაწვდის ინფორმაციას და ყველა ცალკეულ ღონისძიებას შეათანხმებს GIZ-თან.
- სამუშაო მიმღები გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) შეთანხმების საფუძველზე პროექტის განხორციელების დროს მჭიდროდ ითანამშრომლებს და პროექტის მსვლელობის შესახებ რეგულარულ ინფორმაციას მიაწვდის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

**7. განაცხადების მიღება და შერჩევა**

საკონსულტაციო მომსახურების განსახორციელებლად პარტნიორის შერჩევა მოხდება კონკურსის საფუძველზე.
კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ სამეწარმეო (LLC) და არასამეწარმეო იურიდიულ პირებს (NLC, NPO), საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს.
GIZ იტოვებს უფლებას, შეამოწმოს განაცხადში მოწოდებული ინფორმაცია. არაზუსტი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, განაცხადი გაუქმდება.

განაცხადების შინაარსობრივი შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. ორგანიზაციის/მისი გუნდის გამოცდილება ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში საბავშვო ბაღების მიმართულებით მსგავსი პროექტების განხორციელების კუთხით *(შემოთავაზებით უნდა დასტურდებოდეს ორგანიზაციის/მისი გუნდის გამოცდილება მსგავსი ღონისძიებების განხორციელებისა და დოკუმენტების შემუშავების მიმართულებით);*
2. ტექნიკური (შინაარსობრივი) წინადადების ხარისხი და მისი თანხვედრა სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებულ მიზნებთან *(რაც მოიცავს დაკვეთის აღწერას, კონკრეტული მიზნებისა ამოცანების მიღწევის გზებს, პროექტის განხორციელების გეგმას, დაკვეთის შესასრულებლად საჭირო ღონისძიებებს და მათი აქტივობების განხორციელების განრიგს)*
3. სამუშაოს განხორციელების გეგმა ამოცანების და აქტივობების მიხედვით გადანაწილებული სამუშაო დღეების რაოდენობების მითითებით;

4. წარმოდგენილი ექსპერტების მინიმუმ 5 წლიანი პრაქტიკული გამოცდილება საბავშვო ბაღების სფეროში მსგავსი საქმიანობების განხორციელების კუთხით სამუშაო აღწერილობაში მითითებულ თემებზე *(როგორიცაა მუნიციპალური ორგანიზაციული მოწყობა, საბავშვო ბაღების სამართლებრივი აქტები, ელექტრონული რეგისტრაცია და შესყიდვების კუთხით გამოცდილება).* მსგავსი პროექტების განხორციელების კუთხით გამოცდილება უნდა დასტურდებოდეს წარმოდგენილი რეზიუმეებით (CV-ებით);
5. ბიუჯეტის ხარჯთეფექტურობა.

***შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით უფრო დეტალურად იხ. თანდართული შეფასების სქემა.***

**განაცხადის წარდგენა**

განაცხადის მომზადება უნდა მოხდეს ინგლისურ და ქართულ ენაზე.

**შემოთავაზების შინაარსობრივი ნაწილი უნდა მოიცავდეს შედეგ ინფორმაციას** *(შემოთავაზებული სტრუქტურა არის სარეკომენდაციო ხასიათის):*

*1. თავფურცელი*

ორგანიზაციის დასახელება და რეგისტრაციის ნომერი. იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა და ბეჭედი.

*2. პროექტის დასახელება და დაწყება-დასრულების ვადა (თვე/წელი-თვე/წელი)*

*2.1 პროექტის აღწერა*

*2.2. პროექტის მიზნები და ამოცანები, მათი განხორციელების გეგმა (შესაბამისობაში უნდა იყოს სატენდერო განაცხადში მოცემულ სამუშაო აღწერილობასთან)*

*2.3 პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები და შესრულების განრიგი*

| # | ღონისძიება | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | კომენტარი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | X | | | | | *[მიუთითეთ საჭიროებისამებრ]* |
| 2 | Y | | | | | |
| 3 | Z | | | | | |
| ... | … | | | | | |

*2.4 პროექტში ჩართული პირები და მათი ფუნქციები*

ჩამოთვალეთ იმ პირების ვინაობა და ფუნქცია ვინც მოიაზრება პროექტის განხორციელებაში და ასახულია შესაბამისად ბიუჯეტში.

*2.5. დანართი*

განაცხადს თან უნდა ერთვოდეს პროექტის განხორციელებაში გათვალისწინებული პირების რეზიუმეები და მომსახურების განხორციელების შესაძლებლობის დასაბუთება ორგანიზაციის მიერ.
დანართის სახით ასევე შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რასაც განმცხადებელი მიიჩნევს რელევანტურად.
**ფინანსური შემოთავაზება უნდა მოიცავდეს შედეგ ინფორმაციას:**
*ბიუჯეტი (ლარში, დღგ-ს გარეშე)*

| # | კატეგორია | ერთეული | ერთეულის რაოდენობა | ერთეულის ფასი (GEL) | საერთო ღირებულება (GEL) | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| **1** | **ექსპერტის ჰონორარი**** | | | | | |
| 1.1 | | [თვე ან კაც-დღე] | | | | |
| 1.2 | | | | | | |
| 1.3 | | | | | | |
| | ... | | | | | |
| | **ჯამი** | | | | | |
| **2** | **სხვა ხარჯი (საჭიროებისამებრ)** | | | | | |
| 2.1 | ტრანსპორტის ხარჯი | | | | | |
| 2.2 | ღამისთევის ხარჯი | | | | | |
| 2.3 | სასტუმროს ხარჯი | | | | | |
| 2.4 | დღიური თანხა პერდიემი | 15 ლარი/დღე | | | | |
| 2.5 | ... | | | | | |
| | **ჯამი** | | | | | |
| | | | | | | |
| | **სულ ჯამი** | | | | | |

***ბიუჯეტში არ შეიტანოთ ის ხარჯი,*** რაც არ შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ასევე, არ ანაზღაურდება ორგანიზაციის მიმდინარე ხარჯები.
ექსპერტის ჰონორარი უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, მათ შორის სხვა პერსონალის ხარჯებს, კომუნიკაციის, ანგარიშგების და ასევე ყველა შესაძლო დამატებით ხარჯს, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს მოგების, ინტერესებისა და რისკების ფაქტორებთან. (როგორც მითითებულია ხელშეკრულების ზოგადი პირობების 10.2 მუხლში/ დანართი 4.
***მითითებული ჰონორარები უნდა მოიცავდეს საშემოსავლო გადასახადისა და საპენსიო შენატანის ხარჯებს.***

Annex 1 – Tecnical tasxs

**Supporting 10 selected municipalities in developing and reforming the management of kindergartens**

The GIZ Programme Good Governance for Local Development South Caucasus (GGLD) invites organisations to submit proposals for consultancy services.

## 1. Brief information about the GIZ Programme

Title: Good Governance for Local Development, South Caucasus (GGLD)

- ➔ GGLD is implemented by Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) on behalf of the German Federal Ministry for Economic Cooperation and Development (BMZ).

Objective: Public institutions in the South Caucasus region are better able to provide citizen-oriented public services at the local level in a sustainable and environment friendly manner in accordance with the principles of democracy, rule of law and transparency and that improve the living conditions of local population.
Basic fields of action:

a) Improving the legal and institutional framework for providing citizen-oriented public services;
b) Strengthening the capacities of key stakeholders to deliver citizen-oriented services and to finance them;
c) Introducing public participation mechanisms for the engagement of citizens in service delivery;
d) Strengthening the procedures, institutions and instruments of regional and local economic development;
e) Promoting exchange of experience and cross-border learning.

Commissioning period: 01/04/2020 – 31/03/2023

## 2. Context

The objective of GGLD is to support public institutions in providing citizen-oriented, fair and qualitative public services. To achieve this objective, GGLD provides advisory support to municipalities in exercising need-based competences and, thus, envisages the development of functions, structures, manamement processes as well as the introduction of electornic registration systems. Based on the agreement with the Ministry of Regional Development and Infrustructure (MRDI) of Georgia, GGLD's focus area, among others, is one of the key exclusive competences of local governments –kindergartens.
In compliance with the Decree of the Government of Georgia N488, adopted on October 30, 2017, a comprehensive countrywide reform in the field of early and preschool education is currently being implemented. This decree sets the national standards for early and preschool eduation. These standards shall substantially improve the service quality of early and preschool educational institutions. The document defines a number of standards to be met by

kindergartens so as to receive official authorisation and to provide qualitative and needs-oriented services for the local population.
To improve the services of preschool education in Georgia, a number of significant reforms were already undertaken at the local level: legislative acts have been amended, local budgets have been increased, the management principles regulating relevant structural units that provide preschool education were adjusted, etc. However, within the process of obtaining authorisation, there still are several issues that municipalities need to be address urgently to fulfill the respective reforms. These issues mainly concern the quality and effectiveness of certain functions, structure and management processes of kindergartens, including the elaboration and support in introduction of a tool for electronic registration of children in kindergartens
To improve the quality and effectiveness of preschool education services in Georgia, GIZ plans to implement a project in 10 selected municiplaities. The main objective of the project is to ensure that the management of kindergartens, which underlies the exclusive authority of municipalities, including its functions, structure and management processes, is tailored to the existing needs of the population and its effectiveness is improved through the elaboration and support in introduction of a tool for the e-registration of children in the kindergartens.

## 3. Objective of the assignment

- GGLD aims at engaging a consulting service that shall Develop different management models of preschool education/nurseries/kindergartens for the 10 selected municipalities that comply with modern standards and legal requirements.
- Define functions tailored to the requirements of staff units and elaborate respective job descriptions for the respective staff in the kindergartens the abovementioned municipalities.
- Elaborate a tool and respective guideline for the introduction and application of an electronic system to register children in the kindergartens (for the respective agencies/unions exercising the management of pre-school education/nurseries/kindergartens at the local level).
- Support the practical implementation of the e-registration system in the 10 selected municipalities

The assignment should be performed in the following ten municipalities:

1. Telavi Municpality
2. Mtskheta Municipality
3. Gori Municipality
4. Akhalzikhe Municipality
5. Bordjomi Municipality
6. Kutaisi Municpality
7. Poti Municipality
8. Senaki Municipality
9. Zugdidi Municipality
10. Tskaltubo Municipality

## 4. Scope of the assignment

The service provider shall ensure that within the municipalities’ management of kindergartens, the functions, structure and management processes are tailored to the needs of the population and an electronic registration system is introduced in the selected municipalities. This includes the implementation of the following specific tasks:

8. Study all legislative acts and policy documents that are crucial for the provision of kindergarten services, including legal regulations and obligations set out by the central level. Furthermore, this includes but is not limited to
    - the analysis of existing regulatory acts of institutions providing preschool education, their functions, structure, job descriptions and management processes.
    - key legal acts regulating the registration process of the children in the kindergartens on a local level as well as existing practices (including the registration of children with disabilities and/or special needs).
9. Based on the assessment of the studied documents, define gaps of municipalities' management systems and practices in fulfilling these legislative obligations and, identify actions needed to properly fulfill the obligations.
10. Develop a detailed methodology of the new model of kindergarten management for the municipalities on how to implement the actions defined under point 2. The model shall cover the following parts:

*Structures, functions, job descriptions and management process (*Recommendations for service providers/agencies that manage preschool education including):

- ❖ Several options for management systems (out of which municipalities can select the most appropriate);
- ❖ Clearly defined functions
- ❖ Needs-tailored Job descriptions

Further recommendations related to the management of preschool education/ kindergartens.
*Electronic registration*

- ❖ The outline of a tool for e-registration of children in kindergartens, including the identification and definition of all components required for the registration and drafting the relevant guideline.
- ❖ A compilation of all relevant laws and rules on registration and admission/ exclusion of a child/ by public preschool educational institutions.
- ❖ A list of all preschool educational institutions/nurseries/kindergartens within the selected municipalities, as well as the number of registered kindergarteners. Necessary statistics for this task shall be obtained by the consultant.

11. Present the elaborated methodology of the new model of kindergarten management to the representatives of the Ministry of Regional Development and Infrastructure (MRDI) of Georgia, and reflect their comments within the document;
12. Present the elaborated methodology of the new model of kindergarten management to the decision-making authorities within the selected municipalities, consider their opinions, comments and recommendations and if necessary, adapt the methodology;
13. Support the introduction of the developed methodology of the new model of kindergarten management within the 10 selected municipalities;
14. Prepare a final report that includes inter alia the following parts (for further details on what the report shall cover see below '5.Tentative contract period and reporting')):
    - Gained experience;
    - Good examples;
    - Findings and
    - Recommendations (to ensure successful sharing of the experience gained within the assignment relevant recommendations shall be elaborated. The recommendations shall contain the information on the implementation methods and

approaches as well as strengths and weaknesses of the existing system of kindergarten management).

During the implementation of the given assignment, the service provider shall ensure close cooperation with the decision-making authorities on the central and local levels, as well as with the representatives and managers of the agencies.

**5. Tentative contract period and reporting**

Start date: 15.04.2021
End date: 30.10.2021
Interim payment will be issued as of 01.06.2021, based on the submission of the interim report.
The Interim report should include the following information**:**

1. A summarized display of all legislative acts and policy documents that are crucial for the provision of kindergarten services, including legal regulations and obligations set out by the central level. Furthermore, this includes but is not limited to
    - the analysis of existing regulatory acts of institutions providing preschool education, their duties, structure, job descriptions and management processes. key legal acts regulating the registration process of children in kindergartens on a local level as well as existing practices (including the registration of children with disabilities and/or special needs)
2. Based on point 1, a summary of the detected gaps in the municipalities' management systems and practices in fulfilling these legislative obligations and the identified actions needed to properly fulfill the obligations.
3. The first draft of a detailed methodology of the new model of kindergarten management for the municipalities on how to implement the actions detected (see above at 4. Scope of the assignment for the points the methodology model shall contain).

The final payment will be disbursed no later than 30.10. 2021, but only after submission of the final report. The final report should include the following information:

1. Review of the presentation of the methodology of the new model of kindergarten management to the representatives of the Ministry of Regional Development and Infrustructure (MRDI) of Georgia, and reflection of their comments.
2. Review of the presentation of the elaborated methodology of the new model of kindergarten management to the decision-making authorities within the selected municipalities and how their opinions, comments and recommendations were considered within the methodology of the new model of kindergarten management;
3. The finalized methodology of the new model of kindergarten management.
4. Reporting on how the consultant supported the introduction of elaborated methodology of the new model of kindergarten management within the 10 selected municipalities;
5. Reflections on the following issues:
    - Gained experience,
    - Good examples,
    - Findings and Recommendations (to ensure successful sharing of the experience gained within the assignment relevant recommendations shall be elaborated. The recommendations shall contain the information on the implementation methods and approaches as well as strengths and weaknesses of the existing system of kindergarten management).

Both reports on the performance of the assignment shall be written in Georgian. However, the executive summary shall additionally be delivered in English.

## 6. Other terms

- The service provider shall regularly inform GGLD on the abovementioned activities and obtain GGLD's approval for all individual activities.
- The service provider shall closely cooperate with and regularlly inform the representatives of the Ministry of Regional Development and Infrustructure (MRDI) of Georgia on its progress.

## 7. Submission and selection of a proposal

The provider for this consultancy service will be selected based on a competition.
Eligible to participate in the competition are: Entrepreneurial (LLC) and non-entrepreneurial legal entities (NLC, NPO), legal entities under public law (LEPL), non-governmental organizations (NGOs) as well as further civil society organizations.
GIZ reserves the right to verify the information indicated in the application. In case of inaccurate information, the application will be cancelled.

**Selection criteria**
The service provider for the consultancy service will be selected based on the following criteria:

6. Experience of the organisation/team in implementing similar projects with local self-governments in the field of preschool education/ kindergartens. *(The experience of the organisation/team on implementing similar assignments should be verified within the application);*
7. The quality and compliance of the technical offer for achieving the specific objectives and regulations listed in the Terms of Reference (ToR) (including description of the assignment, the intended goals, the implementation plan, activities to complete the assignment and implementation schedule).
8. Efficiency of the activities and implementation schedule (that lists number of workdays per tasks);
9. Qualification of the respective experts assigned to the tasks outlined in the ToR: At least 5 years of proven experience related to the management of kindergartens *(such as municipal organisational arrangement, legal acts regarding the kindergarten, electronic registration and experience in procurement).* Reference to similar work/projects shall be included in respective CVs.
10. Efficiency of budget allocation/calculation

*More detailed information on assessment criteria is provided under the annexed assessment grid.*

**Submission of Application**
Applications shall be submitted in English and Georgian and shall contain two parts: A technical offer and a financial offer.

**The technical offer shall contain the following information** *(according to the recommended structure):*

*1. Title page*
Name and registration number of organisations; legal address, telephone number, e-mail address, director of organisation, - signature and stamp of director.
*2. Title of assignment and implementation period (month/year-month/year)*
*2. 1 Description of assignment and goals*
*2.2. Implementation plan (shall be in compliance with the terms of reference under this tender announcement);*
*2.3 Activities planned to complete the assignment and implementation schedule*

| # | Activity | March | April | May | Comment |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | X | | | | *If relevant* |
| 2 | Y | | | | |
| 3 | Z | | | | |
| ... | … | | | | |

*2.4 Persons involved in the project and their functions*
Please, include a list with all persons and their functions, who will be involved in the implementation of the assignment and, in addition, insert them under the budget section of the financial proposal.

*2.5 Annex*
Respective Resumes (CV) of the staff involved in the implementation of the assignment
Any additional relevant information applicant may like to attach to the application.

**The financial offer shall contain the following information:**

***Budget in GEL (excl. VAT)***

| # | Category | Unit | Number of unit | Unit price (GEL) | Total value (GEL) | Comment |
|---|---|---|---|---|---|---|
| **1** | **Expert Fee**** | | | | | |
| 1.1 | | [month or man-day] | | | | |
| 1.2 | | | | | | |
| 1.3 | | | | | | |
| | ... | | | | | |
| | **sum** | | | | | |
| **2** | **Other costs (if relevant)** | | | | | |
| 2.1 | Transportation | | | | | |
| 2.2 | Accommodation | | | | | |
| 2.3 | Hotel costs | | | | | |
| 2.4 | Per-diem | 15 GEL | | | | |
| 2.5 | ... | | | | | |
| | | | | | | |
| | **Sum** | | | | | |
| | | | | | | |
| | **Total sum** | | | | | |

Budget should not contain the cost that are not relevant for the activities of the assignment. Ongoing costs of the organisation won't be covered by budget.

*** indicated expert fees shall include income tax and pension fund costs.*

Fee rate of experts shall include all personnel costs, including ancillary personnel costs; backstopping, communication, and reporting costs; and all overheads, profit, interest, risks, etc.